ენის დეკონსტრუქცია როგორც ლოგოცენტრიზმის კრიტიკა (ჟ.დერიდა)

აკაკი ყულიჯანიშვილი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: akaki.kulidjanishvili@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2022.821

ჟ. დერიდას ენის კონცეფცია შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც ენის დინამიზმის თეორიის ერთ-ერთი ნაირსახეობა. უმეტესად მისი ენის თეორია ფერდინანდ დე სოსიურის შეხედულებების კრიტიკას წარმოადგენს. თუკი სოსიურის მიხედვით ნიშანი იქმნება აღმნიშვნელისა და აღნიშნულის კავშირით და ეს ორი ძირითადი კომპონენტი შეესაბამება ერთმანეთს, დერიდასთვის ამგვარი შესაბამისობა არ არის ნამდვილი, თუმცა ანალიტიკურია. ენის განვითარებისა და გამოყენებისას ნიშანი განსხვავებისგან (დიფერენცისაგან) შექმნილი სტრუქტურაა, ნიშნის ნახევარი ყოველ-თვის ,,სახეზეა'', ხოლო ნაწილი არასდროს არის ,,სახეზე''. იმიტომ რომ აღმნიშვნელე-ბი და აღნიშნულები ერთმანეთს ყოველთვის ახალი გზით შორდებიან და ხვდებიან. დერიდას მოსაზრებით სოსიურის ენის სტრუქტურალისტური თეორია არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი.

დერიდა ენის სტრუქტურალისტური თეორიის სუსტი მხარეების წარმოსაჩენად გამოიყენებს ცნებას ამოშლა. *sous rature* (ამოშლა, *Rature* -წაშლა) რომელიც წარმოადგენს სიტყვის დაწერის და შემდგომ მისი გადახაზვის აქტს. დერიდამ ჰაიდეგერის ადრეულ ნაშრომზე დაყრდნობით განავითარა ეს ცნება, რათა აღენიშნა როგორც სიტყვის საჭიროება და მნიშვნელობა, ისე მისი წაშლის საჭიროება და მნიშვნელობა. ნებისმიერი სიტყვა საჭირო (შესაბამისად, როგორც ნაწერი შენარჩუნებულია) და არაადეკვატურია (და შესაბამისად, ის, როგორც ნაწერი, გადახაზულია) რათა გადმოსცეს ის მნიშვნელობა, რომელსაც აღნიშნავს, წარმოაჩინოს მისი სირთულე, სიმდიდრე და მრავალფეროვნება, ანუ ყველა აღმნიშვნელი მრავალმნიშვნელოვანია და აღემატება აღნიშნულს, სხვაგვარად რომ ვსთქვათ, სიტყვის განმარტებისას სხვა სიტყვებს ვიყენებთ, რათა მივიდეთ სხვა სიტყვებამდე, რომლებიც თავის მხრივ ასევე მიგვიყვანს სხვა სიტყვებამდე და ასე უსასრულოდ ვიმოგზაურებთ უსაზღვრო სემიოზისის პროცესში. აღმნიშვნელები ახალ აღნიშნულებზე მიუთითებენ და პირიქით, გამომდინარე აქედან კი მნიშვნელობა ყოველთვის ცვალებადი, მცდარი, გაურკვეველი, რთული და პარადოქსულია.

ნაშრომში გრამატოლოგიის შესახებ ტერმინი ,,დეკონსტრუქცია'' დერიდამ პირველად გამოიყენა. ტერმინი ,,დეკონსტრუქცია" თავისი შინაარსით განსხვავდება ტერმინ ,,დესტრუქციის" შინაარსისგან. თუ დესტრუქციის შინაარსში მოიაზრება დაშლა, ,,დეკონსტრუქციის" შინაარსში იგულისხმება ნაწილების მთელთან მიმართება და გაგების პროცესი.

დეკონსტრუქცია ერთგვარი დამტკიცებაა იმისა, რომ ნებისმიერ ტექსტში არსებობს ორაზროვნებისა და გადაუწყვეტელობის აუცილებელი ნიშნები, რომლებიც ღალატობენ ავტორის მიერ ამ ტექსტში ჩადებულ აუცილებელ მნიშვნელობას.

დეკონსტრუქციის ზუსტი და ადეკვატური განსაზღვრება შეუძლებელია, ასეთი განსაზღვრება ეწინააღმდეგება თავად დერიდას მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ზუსტი მნიშვნელობები სიტყვებს არ აქვთ., განსაზღვრულ და საბოლოო მნიშვნელობამდე ან მიზნამდე დაყვანის მცდელობა პარადოქსია, როცა ეს დაფუძნებულია მთლიანად სხვის გამოვლენისა და ალტერნატიული შესაძლებლობებისკენ გზის გახსნის სურვილზე. იგია მნიშვნელო-ბებისა და მიზნების მუდმივი გახსნა თავიანთი ალტერ ეგოსკენ, რომელიც სხვაა და რომლისკენაც ისინი იცვლებიან .

,,ლოგოცენტრიზმის" ცნება დერიდას მიერ გამოყენებულ იქნა, მეტყველებისა და წერის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისას. დერიდა მიიჩნევდა, რომ ენის განვითარება მეტყველებისა და წერის ურთიერთქმედებით ხდება და ამ ურთიერთ-ქმედების გამო არც მეტყველება და არც წერა არ არის ერთი მეორეზე უფრო ფუნდამენ-ტური ენის განვითარებისათვის.

დეკონსტრუქციული მეთოდით ამ ბინარული ოპოზიციის დაძლევისათვის დერიდა მიიჩნევდა, რომ მეტყველებასა და წერას შორის განსხვავების თამაში შინაგა-ნსა და გარეგანს შორის განსხვავების თამაშია. რაც იმის მაუწყებელია, რომ წერა მეტყველებისათვის ერთდროულად გარეგანიც არის და შინაგანიც, ხოლო მეტყველება ასევე ერთდროულად გარეგანიც არის და შინაგანიც წერისათვის. განსხვავების ეს თამაში ასევე გულისხმობს, რომ ხდება შინაგანის და გარეგანის ამოშლა. გარეგანი თან არის და ამავდროულად თან არ არის შინაგანი. გარე და შიდა ხდება არაადეკვატური ცნებები მეტყველებისა და წერის განსამარტად. დერიდამ აჩვენა, რომ მეტყველება გარკვეული სახის ყოფნაა, რადგან მოსაუბრე მსმენელისათვის არსებულია. გამომდინარე აქედან მაშინ წერა იქნება გარკვეული ტიპის არყოფნა, მწერალი ხომ იმავდროულად მკითხველის წინაშე არ არის.

დერიდას მოსაზრებით: ლოგოცენტრიზმი მოქმედებს ,,ყოფნის მეტაფიზიკის'' შესაბამისად, იმ ლოგიკით რომელიც მოტივირებულია ტრანსცენდენტურის აღნიშნუ-ლის სურვილით. დერიდა ასაბუთებდა, რომ ტრანსცენდენტური აღნიშნული შესაძ-ლოა დეკონსტრუირებული იყოს იმ შეხედულებებზე დაკვირვებით, რომლებიც ყოფნის მეტაფიზიკას გასდევენ. თუ ყოფნა, მაგალითად, აღიქმება, როგორც აღნიშ-ნულის არსი, მაშინ აღმნიშვნელის აღნიშნულთან სიახლოვე შეიძლება მოიცავდეს აღმნიშვნელის უნარს, წარმოაჩინოს აღნიშნულის ყოფნა. იმავე შეხედულებაზე დაყრდნობით, აღმნიშვნელის აღნიშნულისაგან სიშორე შეიძლება გულისხმობდეს, რომ აღნიშნულს არ შეუძლია, ან

თითქმის არ შეუძლია, წარმოაჩინოს აღმნიშვნელის არსებობა. ამდენად, სიახლოვესა და სიშორეს შორის ეს ურთიერთმიმართება ყოფნისა და არყოფნის, შინაგანის და გარეგანის ურთიერთქმედებაცაა.

ლოგოცენტრიზმის უარყოფა ნიშნავს ონტოლოგიის უარყოფას და დეკონსტ-რუქციის მიხედვით სამყაროს მიღმა აღარ მოიაზრება გონიერი საწყისი, რომელიც ყოველივე არსებულის საწყისი გახლდათ ტრადიციულ ევროპულ მეტაფიზიკაში და რომლიდანაც მომდინარეობდა სინამდვილის ბინარულ ოპოზიციად მოაზრება, სამყა-როს იერარქიული სტრუქტურა, დეტერმინაცია და სხვა. დასავლური აზროვნების ცენტრისტული ხასიათი გულისხმობდა უპირველეს არსებულს, რომელიც სხვა არსებულთა არსებობის მიზეზი და მიზანი იყო. დერიდას აზრით, ტრადიციული მეტაფიზიკა დიქოტომიურია და სინამდვილის ორად გათიშვას გულისხმობს, სინამდვილეში ამგვარი გათიშვა არ არსებობს. მეტაფიზიკა იქცა გარკვეულ მატრიცად, რადგანაც გვთავაზობს სინამდვილის იერარქიულ მოდელს, განასხვავებს კეთილს და ბოროტს, მშვენიერსა და უგვანოს, კარგს და ცუდს, ნამდვილს და მოჩვენებითს, და ადამიანისგან მოითხოვს მის შესაბამისად ყოფნას. დერიდას სურს მოშალოს მეტაფიზიკის ეს ბინარული სტრუქტურა და დაქვემდებარებული ელემენტი გაათანაბროს გაბატონებულ ელემენტთან. დერიდას მოსაზრებით, სამყარო, სამყაროს ყოფიერება წარმოსდგება უსასრულო ტექსტის სახით, ადამიანის ცნობიერება კი არის ტექსტების სასრულო რაოდენობა და იგი ურთიერთობაში შედის სხვა ცნობიერებებთან როგორც ტექსტებთან და სამყაროსთან როგორც უსასრულო ტექსტთან. სამყარო, როგორც უსასრულო ტექსტი, ინტერპრეტაციათა უსასრულო შესაძლებლობის მქონეა, რადგანაც აღარ არსებობს ლოგოსი, ცენტრი, ჭეშმარიტი მნიშვნელობები, საზრისი, აღსანიშნი.

Akaki Kulijanishvili
Iv. Javakhishvili Tbilisi state Iniversity

Language Deconstruction as a Critique of Logocentrism (J.Derrida)

Abstract

Zh. Derrida confronts Sosiuri's structuralist theory about language. The basic premise of lis language theory is that language is dynamic, not static.He discusses the relationship between a sign and a signifier in dynamics, which ultimately merans that it is impossible to speak unequivocally about the exact meaning of a sign. To determine the meqning, we turn to the meanings of other words in the language, then to other meanings to understand that word, and so on indefinitely. Derrida, deconstruction is not a negative operation, but some detailed analysis aimed at understanding how intergrity is achieved in order to restore it. According to Derrida, "logocentrism" is the foundation of language and philosophy, it gives

the privilege of oral speech over writing. In deconstructing this banal opposition by deconstruction, Derrida believed that the game between speech and writing was a play on the inside, between the inside and the outside.